h 43.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

რუმედასის საქ. კომკავშირის ᲓᲐ ᲢᲤ. ᲡᲐᲮᲚᲘᲡ
კომიტეტის ᲪᲙᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲠᲣᲒᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

მხურვალე, პროლეტარული სალამი მარქსიზმისა და ლენინიზმის ერთგულ დარაჯს, მისი ცხოვრებაში გამტარებელს, კომპარტიაში ყოველგვარი მერყეობის წინააღმდეგ შეურყეველ მებრძოლს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ბელადს და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის საფუძვლების ჩამყრელს ამხ. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს — მისი დაბადებიდან 50 წ. თავზე.

შეხვედრა კობასთან ჭიათურაში

ეს იყო 1905 წ. ზაფხულში. იმ ხანებში ჭიათურის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თავი იჩინა ფრაქციულმა უთანხმოებამ. აქაიქ, მხოლოდ მოწინავე ამხანაგები მართავდენ ჯგუფურ კამათს. სწორეთ ამ დროს ჭიათურაში ჩამოვიდა ჩვენთვის უცნობი ამხანაგი, რომელსაც ზოგნი კობას ეძახდენ, ზოგნი კიდევ — სოსოს.

იმ დროს ჭიათურის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდენ: ზაქარია გურული, ნესტორა ჩხიკვაძე, კოტე ცინცაძე, სტეპკა — (ვანო) ინწკირველი; უფრო გვიან კი — მიშა დავიდოვი, გალაქტიონ ვაშაძე და კარპე მოდებაძე.

სოფელ შუქრუთში, ქრისტოფორე მელუას ბინაზე მოწვეულ იქნა ჭიათურის ს.-დ. ორგანიზაციის აქტივის კრება.*) ამ კრებას დაესწრო დაახლოვებით ასი კაცი.

ჭიათურის ს.-დ. პარტიის აქტივის, აღნიშნულ, კრებაზე გაიმართა გაცხოველებული კამათი ს.-დ. პარტიაში წარმოშობილ ფრაქციულ უთანხმოების გარშემო. კრების გახსნის შემდეგ პირველი სიტყვა მიეცა ამხ. კობას. შემდეგ გამოვიდენ: გრიგოლ ლორთქიფანიძე, ისიდორე რამიშვილი და ვინმე „პარიზელი" — (სირბილაძე). კამათმა გასტანა შუადღიდან საღამომდე. კობა იცავდა ლონდონის მესამე ყრილობაზე ლენინის მიერ წამოყენებულ დებულებებს, ხოლო ლორთქიფანიძე, რამიშვილი და „პარიზელი" — მარტოვისას.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი გარემოება, სახელდობრ: ვიდრე კრება გაიხსნებოდა ამხანაგებში გავრცელდა ხმა, — ჩამოსულნი არიან ცენტრალური კომიტეტის წევრები და დღეს მენშევიკებთან მოგვიხდება შეტაკებაო. როდესაც დანიშნულ ადგილას ყველამ თავი მოვიყარენით ბოლშევიკური ფრაქციის წევრები ერთიმეორეს ჩუმათ ვეკითხებოდით, თუ ვინ უნდა ყოფილიყო იმ დღეს ‖ვენი ფალავანი. ცოტა ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ფალავანი, თურმე კობა ყოფილა. ის იჯდა შვენს შორის, მაგრამ მას ორი-სამი ამხანაგის გარდა პირადათ არც ერთი ჩვენგანი არ იცნობდა.

კრების გახსნის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავმჯდომარემ პირველი სიტყვა მისცა ბოლშევიკურ ფრაქციის წარმომადგენელს ამხ. კობას. აქვე უნდა აღვნიშნო, როცა მე მას შევხედე ეული გამიტყდა. გავიფიქრე: როგორ შეუძლია ამ უბრალო კაცს დაიცვას ჩვენი პოზიციები, ისეთი მოწინააღმდეგეებისაგან, როგორიც არიან ლორთქიფანიძე, რამიშვილი და სხვა მეთქი. მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა. ამ უბრალო კაცმა, მდაბიოთ და დინჯათ დაიწყო ლაპარაკი, რამაც ჩვენზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა და იმედებით აგვავსო, რომ ჩვენი გამარჯვება ამ კრებაზე უზრუნველყოფილად ჩავთვალე, ასეც მოხდა.

კობამ ილაპარაკა დაახლოვებით 2 საათის განმავლობაში. ყოველი მისი სიტყვა მოწინააღმდეგეებისადმი მიმართული იყო დასაბუთებული უტყუარი ფაქტებით. კობას სიტყვამ, როგორც აღვნიშნე, აღფრთოვანება გამოიწვია ბოლშევიკურ ფრაქციაში, ამ გარემოებამ მეტად შეაშფოთა მოწინააღდეგეთა ბანაკი.

კობას შემდეგ ილაპარიკეს ლორთქიფანიძემ, რამიშვილმა და „პარიზელმა". რის შემდეგ შემუშავებული იქნა ორი რეზოლიუცია. პირველი შეუმუშავა კობამ, მეორე კი — ლორთქიფანიძემ. კენჭის ყრის დროს დამსწრენი გაიყო ორ ბანაკად. კობას რეზოლიუციას მიემხრო: ამხ. კოტე ცინცაძე, სტეპკა ინწკირველი, გ. ვაშაძე. კ. მოდებაძე, ა .თუში, მე და დამსწე მუშების უმრავლესობა.

ლორთქიფანიძეს რეზოლიუციას მიემხრენ ზ. გურული, ნ. ჩხიკვაძე და სხვა, წვრილ თუ სხვილ ფეხა მრეწველები და ნოქრები, რომლებიც მრავლად ირიცხებოდენ იმ დროს სოც-დემოკრატიის პარტიაში.

საკითხავია თუ რატომ მიემხრენ ლორთქიფანიძეს რეზოლიუციას მრეწველები და ნოქრები. საქმე შემდეგში იყო ამხ. კობამ კამათის დროს ხაზგასმით აღნიშნა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრი. მისი განმარტებით, პარტიის წევრი არის ის, ვინც იზიარებს ს.-დ. პარტიის პროგრამას რეგულიარულად იხდის საწევრო გადასახადს და აქტიურად მუშაობს ორგანიზაციაში.

ლორთქიფანიძის განმარტებით კი, გამოდიოდა, რომ პარტიის წევრი შეიძლება იყვეს ის ვინც იზიარებს სოც.-დემოკრატიის პროგრამას. ლორთქიფანიძე არ სთვლიდა წევრებისათვის სავალდებულოდ ორგანიზაციაში მუშაობას.

აქედან ცხადია, რომ მენშევიკური პარტიის კარები ღია იყო ყველასათვის, ვინც კი გაიზიარებდა მათ პროგრამას, ან თანაუგრძნობდა სოც.-დემოკრატიულ პარტიას. ამ მხრივ ბოლშევიკური კარები უფრო ვიწრო იყო და იქ შესვლა ყველასათვის არ იყო თავისუფალი. ამ გარემოებამ გამოიწვია, ის რომ პარტიაში შემოხიზნული ჭრელი მასის დიდი უმრავლესობა მიემხრო მენშევიკებს.

ჭიათურაში ამხ. კობა დარჩა დაახლოვებით 10 დღე. ამ ხნის განმავლობაში მან ჩამოაყალიბა წრეები, რათა აქტიური მომუშავენი სათანადოთ გავრკვეულვიყავით ფრაქციულ უთანხმოების საკითხებში იმ მიზნით, რომ მომავალში დამოუკიდებლად შეგვძლებოდა მოწინააღმდეგეებთან კამათი — ლენინის მიერ დასახული პოზიციების დასაცავად.

ჭიათურიდან ამხ. კობას წასვლის შემდეგ მის მიერ ჩამოყალიბებულ წრეებში ისე გავაჩაღეთ მუშაობა, რომ ჩვენ თამამად გამოვდიდითმოწინააღმდეგეებთან საკამათოდ და ვიმარჯვებდით კიდეც.

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა იმ ბუმბერაზ და ფოლადისებურ ადამიანთან, რომელიც დღეს ხელმძღვანელობს საერთაშორისო კომუნისტურ პარტიის მოძრაობას და ხაბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის აღორძინების საქმეს.

ჩემი ბოლშევიკური სალამი პროლეტარიატის გამობრძმედილ ბელადს ამხ. კობა ჯუღაშვილს — სტალინს, მისი დაბადების 50 წლის თავზე. ვუსურვებ მას კიდევ დიდი ხნით სიცოცხლეს მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ დაწყებული დიადი ბრძოლების ბრწყინვალედ ჩასატარებლად.

ვლადიმერ თოდრია.

---

*) აღნ. ვ. ვაბაძე, თავის მოგონებაში გაზ. „კომუნისტი"-ს № 294 „სტალინი ჭიათურაში" — აღნიშნული კრების ადგილად შუქრუთის ნაცვლად ასახელებს სოფ. პერევისას. ეს არ არის სწორი. კრება მოწვეული იყო შუქრუთში და არა პერევისაში.

363(∾)(05)
ᲛᲣ3.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

№ 12

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

1 9 2 9

ᲠᲔᲛᲔᲓᲘᲡᲘ

ᲠᲔᲛᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲗᲝ ᲧᲕᲚᲐ ᲥᲕᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ Ქ. №5, II-ᲠᲔ ᲡᲐᲠᲗ.

—

∞ ᲢᲔᲚ. 17-42. ∞

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲯᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 50 Წ. ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის საოლქო კომიტეტების პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. დეკემბრის 25, ნაშუადღევის 2 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შეუდრეკელი მებრძოლი, ძველი ბოლშევიკური გვარდიის უხუცესი წევრი, რემედასის საქართველოს ცეკას პირველი თავმჯდომარე

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი
(1853 — 1929)

ბიოგრაფიული ცნობები

ძველი რევოლიუციონერი ამხ. მიხა ჩოდრიშვილი დაიბადა ქ. სილნაღში 1853 წლის 5 აგვისტოს ულარიბეს მუშის ოჯახში.

თავის მოგონებებში ამხ. მიხა ამბობს: „მამაჩემი იყო სუფთა პროლეტარი, არაფერი არ ჰქონდა, მეც ისეთი პროლეტარი ვარ, არავითარი ქონება არ გამაჩნია“.

8 წლის პატარა მიხა მიაბარეს მოჯამაგირეთ ერთ გლეხთან სოფ. კარდანახში. 13 წელი რომ შეუსრულდა იგი ჩამოიყვანეს ტფილისში, სადაც მან ისწავლა დურგლობა. თბილისში ამხ. მიხას ჰქონდა სადურგლო სახელოსნო, სადაც მარტო თითონ მუშაობდა და შოულობდა დღიურ საზრდოს. 1868 წლიდან იგი მუშაობს სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებში. ორი წელი დაჰყო არსენალის სახელოსნოებში, შემდეგ მუშაობდა ხაშურის რკინის გზის დეპოში, ბაქოში, კავკავში. 1888 წელს ბრუნდება ტფილისში და იწყებს მუშაობას რკინის გზის დეპოს სარონოდო საამქროში.

1878 წელს ამხ. მიხა გაეცნო ტფილისში არსებულ „ნაროდნაია ვოლია“-ს ჯგუფს, რომელიც შესდგებოდა უმთავრესად ინტელიგენტებისაგან. მიხამ დაიწყო მუშაობა ამ ჯგუფში და დაჰყო ნაროდნიკებთან 1886 წლამდე. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯგუფის მუშაობაში და იყო ამ ჯგუფის ერთ-ერთი მესაიდუმლე.

1894 წელს ამხ. მიხა შედის „მესამე დასის“ ჯგუფში, შემდეგ კი სოც.-დემოკრ. პარტიაში. პარტიაში განხეთქილების შემდეგ, მიხა მიემხრო ბოლშევიკებს.

არალეგალური სტამბების მოწყობა, პარტიული ლიტერატურის ბეჭდვა-გავრცელება, ყოველგვარი ტეხნიკური საიდუმლო მუშაობა — აი მთავარი საქმე, რასაც ხალისით და გატეაცებით ასრულებდა ამხ. მიხა. ყველა ამ საქმეში გვერდით ედგა და შველოდა მას მისი მეუღლე მელანია.

პარტიული მუშაობისათვის ამხ. მიხა ბევრჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული ჟანდარმერიის მიერ. 1896 წელს მეტეხში დაჰყო 5 თვე, 1897 წელს — 1 წელიწადი, 1908 წელს იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს დონის როსტოვში 5 წლის ვადით.

ქართველმა მენშევიკებმაც არ მოასვენეს იგი და, როგორც აქტიური ბოლშევიკი, რამდენჯერმე დააპატიმრეს.

1919 წელს მენშევიკებმა დაპატიმრებულ მიხას ჩამოართვეს ბოლშევიკური ლიტერატურის დიდი რაოდენობა.

უკანასკნელად მას აპატიმრებენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ და ბათომის ციხიდან ბრუნდება ტფილისში, სადაც მუშაობს საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი იყო რემედასის საქართველოს ცეკას პირველი თავმჯდომარე 1924 — 1927 წლამდე და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ ორგანიზაციის ნაყოფიერ მუშაობაში.

რევოლიუციის ვეტერანი

(პროლეტარული რევოლიუციის მცხოვანი ვეტერანის, დაუვიწყარი ამხანაგის, თბილისელი მუშა-დურგლის მიხა ჩოდრიშვილის ხსოვნას)

ის აღარ არის. აღარ არის ცოცხალთა შორის ჩვენი მოხუცი ამხანაგი მ. ჩოდრიშვილი... თუმცა მან რამდენიმე ათი წელიწადი გაატარა დაზგასთან შრომაში, თუმცა რამდენიმე ათი წლის განმავლობაში რევოლიუციონურ ბრძოლას ეწეოდა სოციალიზმ-კომუნიზმისათვის და დაწყევლილი ცარიზმისა და მენშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ იგი მაინც ხალისიანად და ვაჟკაცურად გამოიყურებოდა... იგი არ ანელებდა რევოლიუციონურ ცეცხლს და ინტერესს ჩვენი უდიდესი სოციალისტური მშენებლობისა და მშრომელთა მსოფლიო მოძრაობისადმი, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

ის წუთისოფელს გამოასალმა წყეულმა, თანამედროვე მედიცინის მიერ ჯერ კიდევ უკურნებელმა ავადმყოფობამ — მუცლის კიბომ.

დაე საბჭოთა მედიცინამ უახლოეს ხანში ბოლო მოუღოს ამ უმსგავსო ავადმყოფობის უცოდინარობას.

ხოლო ჩვენს ძვირფასს, დაუვიწყარ ამხანაგს მიხა ჩოდრიშვილს — ყოველ ჩვენთაგანისათვის საყვარელ ამხანაგ-მეგობარს, თავისი დაუვიწყარი განსვენებული ცოლის — 1905 წლის რევოლიუციის მებრძოლის, ჩვენი ამხანაგის მელანიას მეგობარს — მხურვალე სიყვარული და საუკუნო ხსოვნა ტფილისის, საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისაგან.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო და ბოლშევიკური ძველი გვარდიის მებრძოლო ამხანაგო, საყვარელო მიხა!

მ. ცხაკაია.

პირველი თაობის წარმომადგენელი

გარდაიცვალა პარტიის ყოველი წევრისა და ყოველი მუშისათვის ცნობილი ამხ. მიხა ჩოდრიშვილი. ის ძველი, რევოლიუციონერთა პირველი თაობის პირველი წარმომადგენელი იყო.

ამხ. დაიბადა და აღიზარდა იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყნაში მძვინვარებდა ბატონ-ყმობა, თუმცა მას უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი. ისახებოდა ახალი ცხოვრება, რომელიც ძველ კანში ვეღარ ეტეოდა; ფეოდალურ სოფელს ახალი ქალაქი მეტოქეობდა და გამარჯვებაც უკანასკნელისაკენ იხრებოდა. მიხა ჩოდრიშვილი ამ ხანის მომსწრეა, ის ყოფილი მუშაა, რომელმაც თავის ცხოვრების გზაზე დიდი გაჭირვება და ვაი-ვაგლახი გადაიტანა.

თუ ჭავჭავაძეები ბანკებისა და ქარვასლების მეოხებით ლამობდენ თავად-აზნაურობისათვის პოლიტიკურ ეკონომიური სიძლიერის შენარჩუნებას, მათი ყოფილი ყმები, ჩოდრიშვილები — მუშა-ხელოსანთა შეკავშირებით, მათი დარაზმვით აპირობდენ ყოველგვარი სახის ჩაგვრისათვის ბოლოს მოღებას, ბატონების საბოლოო განადგურებას.

ამხ. ჩოდრიშვილი იყო რევოლიუციონერთა პირველ თაობის საუკეთესო წარმომადგენელი, რომლის თვალწინ და რომლის უშუალო მონაწილეობით სწარმოებდა კლასობრივი ბრძოლა. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ეს ბრძოლა ჩოდრიშვილების და სხ. მათი თანამებრძოლთა მეოხებით დამთავრდა პროლეტარიატის გამარჯვებით. ხანგრძლივი და მკაცრი იყო ეს ბრძოლა, და მისმა სიმწვავემ მთელი სიმძიმით გადაიარა ამხ. მიხა ჩოდრიშვილის მხრებზე.

ამხ. მიხას ბევრი თანამებრძოლი გამოაკლდა, ზოგი დაეცა ბრძოლის ველზე, ზოგი განზე გაუდგა პროლეტარულ რევოლიუციას და მუშათა კლასის მოღალატეობას — მენშევიზმის გზას დაადგა, მაგრამ მიხა მტკიცე დარჩა ბოლომდე, ურყევი დარჩა, ვერაფერმა ვერ შეარყია მისი მტკიცე ბოლშევიკური ბუნება.

პროლეტარიატის პირველი თაობის პირველი წარმომადგენელი, მცხოვანი მოხუცი მიხა ჩოდრიშვილი მოგვშორდა ჩვენ, როდესაც მის მიერ დაწყებული საქმე ბრწყინვალეთ გამარჯვებული, ღმრა ფესვებს იდგამს, როდესაც მიხას თაობისთვის ესოდენ სანატრელი ახალი სოციალისტური წყობილება ნამდვილად ხორციელდება, ხორცს ისხამს.

პირველი თაობის პირველ საუკეთესო წარმომადგენელის ხსოვნა წარუშლელი იქნება ბოლშევიკებს შორის.

ს. თოდრია.

რემედასის საკავშირო აგიტპროპ-თათბირის ძირითადი შედეგები

1929 წ. ნოემბრის 26, ქ. მოსკოვში გაიხსნა რემედასის აგიტპროპ-თათბირი. ეს თათბირი მეტად მნიშვნელოვანია ერთის მხრივ იმით, რომ ის პირველად იქნა მოწვეული საკავშირო მასშტაბით; მეორეს მხრივ კი, მით, რომ მან დაამუშავა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია რემედასის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობისათვის.

თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. რემედასის მასიურ მუშაობის მორიგი ამოცანები, 2. რემედასის საპროპაგანდო მუშაობა, 3. რემედასის აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდათა და ბავშთა შორის, 4. რემედასის მასიური მუშაობის მორიგი ამოცანები სოფლად, 5. რემედასის აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები და მიზნები ეროვნულ რაიონებში, 6. რემედასის ბეჭვდითი სიტყვის პროპაგანდის მორიგი ამოცანები.

თათბირს დაესწრო 75 დელეგატი. თათბირს დაესწრენ აგრეთვე კომინტერნის, პროფინტერნის, საკავშირო კომპარტიის ცეკას, სამხედრო საბჭოს პოლიტ. სამმართველოს და სხვა დელეგატები.

თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა ის აგრემოება, რომ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდება ერთის მხრივ კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავებით კაპიტალისტურ ქვეყნებში; (უმთავრეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის უთანხმოების ზრდით და ომის საშიშროების მომწიფებით) და მეორეს მხრივ კი, საბჭოთა კავშირის მშრომელთა უდიდესი მიღწევებით, ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობისა და 5 წლიანი გეგმის განხორციელების დარგში.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი გლეხობის ძირითად ფენებთან ერთად პარტიის გენერალური ხაზით შეუდრეკლად მიდის წინ სოციალიზმისკენ. თათბირმა ხაზგასმით

გერმანელმა, წითელ ფრონტელმა მუშამ, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოჰყვა დელეგაციას თან ჩამოიტანა ბერლინიდან საბჭოთა პლაკატებისა და ილიუსტრაციების კოლექცია. ამ საგუთებს დემონსტრაციას უკეთებენ ისინი მუშათა კრებებზე.

ალნიშნა, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გეგმები სრულდებაგადაჭარბებით, რაც საბოლოო ანგარიშში ნიშნავს 5 წლიანი გეგმის უდიდესი მუშაობის 4 წლის განმავლობაში შესრულებას“ [1]).



ბანაკი მუშებისათვის ქ. ბრემენში. გასულ წელს ორი ასეთი ბანაკი დასწვეს მეხანძრეებმა იქ გაჩენილი უამრავი მკბენართა მოსასპობათ. თვეში ამ ბანაკებში მდგურები 15 მარკას (7 მან 50 კაპ.) იხდიან.

საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობის ჩქარი ტემპით წინსვლის მიხედვით რემედასის ორგანიზაციების წინაშე თათბირმა წამოაყენა საკითხი, მისი მასიური, ინტერნაციონალური მუშაობის ფორმების ძირეულად შეცვლის შესახებ, რაიც მთლიანად დაკავშირებული უნდა იქნეს და, რაც უნდა გამომდინარეობდეს პარტიისა და ხელისუფლების ამოცანებიდან.

რემედასის მასიურ მუშაობაში, უფრო მეტად ვიდრე დღემდე, გაშუქებულ უნა იქნას დღევანდელი კლასობრივი ბრძოლისა და რევოლიუციონური მოძრაობის საკითხები კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში.

ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობა უნდა იქნას მიმართული სოციალისტური აღმშენებლობისა და 5 წლიანი გეგმის შესრულების მნიშვნელობის ახსნა-განმარტებისაკენ პროლეტარიატის ინტერნაციონალური აღზრდის თვალსაზრისით. ყოველმხრივად ხელი უნდა შეუწყოთ ძველი ყოფა-ცხოვრების, ეროვნული შუღლისა და კარჩაკეტილობის, შოვინიზმისა და ანტისემიტიზმის აღმოფხვრას მუშათა და გლეხთა მასაში. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მშრომელთა ფართო მასებში ინტერნაციონალიზმისა და პროლეტარული სოლიდარობის განმტკიცების მიზნით.

„რემედასის ორგანიზაციებს არ შეუძლიათ შორიდან უცქირონ კლასიური პოლიტიკის დამახინჯებასთან ბრძოლას — (მემარჯვენე გადახრა, ოპორტუნიზმი, მავნებლობა), როგორც ქვეყნის სოციალისტურ და კულტურულ აღმშენებლობის ყველა დარგში, ისე რემედასის ორგანიზაციების მუშაობაში“ [2]) თუ დღემდე ამ საკითხს რემედასის ორგანიზაციები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, მომავალში ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. უნდა ვეცადოთ, აღმოვაჩინოთ ყოველგვარი კლასობრივი ხაზის დამახინჯება, რომელსაც ეჭვს გარეშეა ადგილი აქვს ჩვენი ორგანიზაციის რიგებში, რათა გამოუცხადოთ მათ სასტიკი ბრძოლა.

საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სოციალისტურ და კულტურულ აღმშენებლობის საკითხების გაშუქებასთან ერთად, რემედასის უჯრედებმა უნდა შეინარჩუნონ თავისი სახე, როგორც რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე მასიური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს: კაპიტალის პატიმრებისათვის მატერიალური და მორალური დახმარების აღმოჩენა და მის გარშემო მშრომელთა მასების დარაზმვა.

თათბირმა რემედასის მასიური მუშაობის დარგში, დაამუშავა მთელი რიგი პრაქტიკული საკითხებისა, როგორიცაა: ახალი კადრების აღზრდა, რემედასის მიმდინარე მასიურ მუშაობის მეთოდები და ფორმები, საშეფო საკითხები, კინო-თეატრისა და რადიოს გამოყენება ჩვენს მუშაობაში, ქალაქის უჯრედების დახმარება სოფლის უჯრედებზე მასიური მუშაობის წარმოების საქმეში დასხვა.

აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების შესახებ ახალგაზრდობისა და ბავშთა შორის. თათბირმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალური აღზრდის ერთად-ერთ და უმთავრეს ფორმას წარმოადგენს რემედასის ორგანიზაციის პრაქტიკულ მუშაობაში მომავალი თაობის ჩაბმა. მშრომელი ახალგაზრდობა რემედასის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმით მიიღებს რევოლიუციონურ გამობრძმედილობას [3]).

ახალგაზრდობის მონაწილეობა რემედასის ორგანიზაციის მუშაობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაწილობრივი მიღწევებს, ძლიერ მოისუსტებს. ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რაც შეიძლება ახალგაზრდობის მეტი რაოდენობა დავრაზმოთ რემედასის ორგანიზაციების ირგვლივ და ჩავაბათ ისინი მის პრაქტიკულ

[1]) თათბირის რეზოლიუციიდან: „რემედასის მასიური მუშაობის შესახებ“.

მ. ც.

[2]) იმავე რეზოლიუციიდან.

[3]) ამ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საკ. ლენინურ კომკავშირის ცეკას წარმომადგენელი.

მ. ც.

მუშაობაში. კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ დარგში სათანადო დახმარება უნდა აღმოგვიჩინონ.

რემედასის რიგებში ახალგაზრდობის დარაზმვისა და მის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის მიზნით, ახლო მომავალში საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკას და საკავშირო რემედასის ცეკას განზრახული აქვთ ჩაატარონ სპეციალური კვირეული, ამ კვირეულმა სათანადო გამოძახილი უნდა ჰპოვოს მშორმელ მუშურ-გლეხურ, ახალგაზრდობაში [4]).

საჭიროა აგრეთვე კომკავშირის ბეჭვდითი ორგანოებში დაეთმოს სათანადო ადგილი რემედასის მიზნებისა და ამოცანების გაშუქებას ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღზრდის მიზნით.

რემედასის მუშაობის გაძლიერებაში სათანადო როლი უნდა ითამაშოს კლუბთან არსებულ ახალგაზრდათა სექციებმა. საჭიროა მათ მუშაობის გეგმაში შეტანილი იქნას ისეთი საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ და ხელს შეუწყობენ ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღზდის საქმეს. ასეთებათ მიჩნეულ უნდა იქნეს: ინტერნაციონალური საღამოები, ინსცენიროვკები, შოვინისტებისა და ანტისემიტელების გასამართლება და სხვა.

რემედასის საპროპაგანდო მუშაობის დარგში თათბირმა აღნიშნა, რომ რემედასის ორგანიზაციების საპროპაგანდო მუშაობის სისტემა უნდა იქნას მიმართული საზოგადოებრივ მომუშავე აქტივთა კადრის მომზადებისაკენ, რათა მასიური მუშაობის ჩასატარებლად ახალი კადრი მოვამზადოთ მუშათა და მოჯამაგირეების წრიდან.

„პროლეტარიატის ახალი კადრების აღზრდა, მათი პოლიტიკური დონის ამაღლება უნდა მიმდინარეობდეს საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) ცეკას მიერ წამოყენებული ამოცანების მიხედვით, მასიური აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად და სოციალისტურ აღმშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად [5]).

ამ ამოცანებს უნდა შეუთანხმდეს ჩვენი საპროპაგანდო მუშაობა. უნდა შეეცადოთ, რათა ამ დარგში ცალკე ორგანიზაციების მიღწევები და მაგალითები გავხადოთ მთელი ორგანიზაციის მიღწევებად.

თათბირმაა ორგანიზაციის აქტივის მომზადებისა და გადამზადების ძირითად ფორმად მიიჩნია: მ ო კ ლ ე ვ ა დ ი ა ნ დ ა ს ა ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ო კ უ რ ს თ ა თ ბ ი რ ე ბ ი, თ ე მ ა ტ ი უ რ ი წ რ ე ე ბ ი, ჯ გ უ ფ უ რ ი ს ა უ ბ რ ე ბ ი დ ა ს ხ ვ ა.

თათბირმა მიზანშეწონილად ჩასთვალა გადარჩევის კამპანიის ჩატარების შემდეგ ტარდებოდეს მოკლე ვადიანი კურს-კონფერენციები. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე უცხო ენების (გერმანული და ინგლისური) შესწავლას, რასაც დღეს ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა.

„სოფლის დღევანდელი მდგომარეობა ხასიათდება სოფლის მეურნეობის ახალ სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნით. კოლ. და საბჭოთა მეურნეობის შეუჩერებელი ზრდით, ქალაქის და სოფლის დაახლოვების ახალი საწარმოო ფორმების შექმნით და ამასთან დაკავშირებით კლასობრივი მტრების წინააღმდეგობით, რაც მიმართულიაა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ“ [6]).

ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის რემედასიც მოწოდებულია ყოველმხრივად ხელი შეუწყოს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანებს სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში, კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის წარმოებით ამ საქმეში რემედასელები პირველ რიგში უნდა იდგენ.

რემედასი ვალდებულია აწარმოოს ღარიბთა, საშუალო და მოჯამაგირე გლეხობას შორის სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობა საზღვარ-გარეთ კლასობრივ ბრძოლის ირგვლივ, რათა ამით ხელი შეუწყონ მასის პოლიტიკურ შეგნების ამაღლებას — ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საშუალებით.

თათბირმა აღნიშნა, თუ ჩვენ დღემდე ვერ ვაქცევდით სათანადო ყურადღებას კოლ და საბჭოთა მეურნეობებში რემედასის მუშაობის წარმოებას, დღეს კი ჩვენ უმთავრეს დასაყრდენს, გლეხობის ინტერნაციონალურად აღზრდის



საფრანგეთში ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა შავრაზმელ ტარდიეს მეთაურობით. პარლამენტში თავის შესავალ სიტყვაში განაცხადა ძან: შეუწყნარებელი ბრძოლა იქნება წარმოებული მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგო.

---

[4]) თათბირის რეზოლიუციიდან: „ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ“.

[5]) თათბირის რეზოლიუციიდან: „რემედასის საპროპაგანდო მუშაობის შესახებ“.

[6]) თათბირის რეზოლიუციიდან: „რემედასის მასიური მუშაობის შესახებ სოფლად“.

მ. ც.

მ. ც.

საქმეში, წარმოადგენს კოლ და საბჭოთა მეურნეობები. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად რემედასის მუშაობის დღემდე არსებული ფორმები, არ არის მთლიანად გამოყენებული ყველა ორგანიზაციების მიერ. ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ამ ფორმების ცხოვრებაში თანდათანობით გატარება.

ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავი ბერლინში.

რემედასის იდეების ფართო პროპაგანდა სოფლად და მისი ავტორიტეტის ამაღლება მოსახლეობის თვალში, საშუალებას მისცემს რემედასს დაიკავოს საპატიო ადგილი, როგორც სოფლის კულტურული დონის აწევის დარგში, ისე ეროვნული შულლის და შოვინიზმის აღმოფხვრაში

თუ დღემდე რემედასის სოფლად მასიურ მუშაობის საკითხს რემედასის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, დღეს ჩვენ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სოფლად მის მუშაობის გაჯანსაღება. სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს, რემედასის ქალაქის უჯრედებმა სოფლის უჯრედებზე კულტურულ შეფობის აღების საშუალებით და მუშათა კულტურული ბრიგადების გამოყენებით.

რემედასის მასიურ მუშაობას ნაციონალურ კუთხეებში და რაიონებში თათბირმა მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. ნაციონალური რაიონების კულტურული ჩამორჩენილობა, ნაციონალური შემადგენლობის სიჭრელე, მცხოვრებთა დაქსაქსულობა, დამოკიდებულება ერთა შორის, რაიონების მდებარეობა საბჭოთა კავშირის საზღვრებზე დასხვა. ყველა ეს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში რემედასის ორგანიზაციის მიერ მასიური აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების დროს.

რემედასის მასიური მუშაობის ფორმები და მეთოდები ნაციონალურ რაიონებში უნდა იქნას შეგუებული ადგილობრივი პირობებთან. უნდა შეეცადოთ, რათა რემედასის მუშაობა ამ რაიონებში და ნაციონალურ ოლქებში მაქსიმალურად გავაჯანსაღოთ და ამით ხელი შევუწყოთ მათ კულტურულ და ტეხნიკურ დონის ამაღლებას.

თათბირმა ყველა ამ საკითხების ირგვლივ გამოიმუშავა ვრცელი და წინაარსიანი რეზოლიუციები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედვას ჩვენს მასიურ მუშაობის წარმოებას უახლოეს პერიოდში.

ყოველი აქტიური, რემედასელი უნდა გაეცნოს ამ დადგენილებებს და თავისი წვლილი შეიტანოს მათი ცხოვრებაში განხორციელების საქმეში.

მეტი ყურადღება რემედასს მუშაობას. უფრო მეტი თვითმოქმედება და საღი, საქმიანი თვითკრიტიკა უზრუნველჰყოფს რემედასის მასიურ მუშაობის გაძლიერებას.

მიხ. ცქვიტინიძე.

აკის მეხუთე კონგრესის დადგენილება

1. ყოველი კომკავშირელი უნდა გახდეს რემედასის წევრი.

2. კომკავშირისა და რემედასის ორგანიზაციებს შორის კავშირი დამკვიდრებული უნდა იქნეს რემედასის მუშაობისათვის აქტიურად ხელის შეწყობითა და ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირების მიერ თავიანთი წარმომადგენლების გაგზავნით რემედასის ორგანოებში.

3. იქ, სადაც არ არის რემედასის ორგანიზაცია-უჯრედები, კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და ჩამოაყალიბონ ასეთები.

4. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა ორგანოებმა და პრესამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რემედასის პოლიტიკურ კამპანიებში. რემედასის საქმიანობა სისტემატიურად უნდა შუქდებოდეს ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა ორგანოებში.

5. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები ვალდებულნი არიან კლასიური იუსტიციისა და თეთრი ტერორის შესახებ, ყოველნაირი ცნობები მიაწოდონ რემედასის სათანადო ორგანოებს.

6. ახალგაზრდა პიონერები და კომუნისტური ბავშთა კავშირები ვალდებულნი არიან გაეცნონ რემედასის მოღვაწეობას, ჩაებან რემედასის აქტიურ საქმიანობაში და მის რიგებში.

7. ა. კ. კავშირები ვალდებულნი არიან განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრან კაპიტალისტურ ქვეყნების საპატიმროებზე შეფობის აღებას, სადაც იტანჯებიან პატიმარი, ახალგაზრდები; ასევე უნდა მოიქცენ პოლიტპატიმრების ბავშთათვის არსებულ სახლების მიმართ; საერთოდ მათ მოვალეობას წარმოადგენს იზრუნონ რევოლიუციონერთა ბავშებზე.

8. ა. კ. კავშირებმა აქტიური ღონისძიება უნდა გამოიჩინონ პოლიტ-ემიგრანტების თავშესაფარისა და მუშაობაზე დაშვების უფლებების მოსაპოებლად გერმანიაში, შვეიცარიასა და სხვ.

9. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს ახ. კ. კავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თეთრი ტერორისა და რემედასის რიგებში ახალგაზრდობის დარაზმვის საკითხებს.

მ ა ქ ს გ ო ლ დ შ ტ ე ი ნ ი ს დ ა ღ უ პ ვ ა

1929 ოქტომბრის 4 შესრულდა სრული 4 წელიწადი ამხ. მაქს გოლდშტეინის დაღუპვიდან.

ამხ. მაქსი დაპატიმრეს 1921 წ., მას სასამართლომ მიუსაჯა საუკუნო კატორღა რუმინეთის სენატში აფეთქების მოწყობისათვის. გასამართლების შემდეგ ის გადაგზავნეს დოფტანაში.

ამხ. მაქს გოლდშტეინი.

დოფტანა შესდგება 8 კორპსისა და 10 ეზოსაგან. სამი კორპუსი შედარებით „ს ი ნ ა ლ ი ა ნ ი ა“, რადგანაც მათ აქვთ თითო ფანჯარა და ეზო. დანარჩენი ხუთი კორპუსი შესდგება საკნებისაგან და არა აქვს არც ფანჯრები, არც ეზო.

ცალკე საკნებს აქვს ცემენტის იატაკი, რკინის ჭერი და პატარა სარკმელი კარზე, საიდანაც შედის სინათლე ნახევრად ბნელ დერეფნიდან.

დოფტანის უფროსად იყო სტანესკუ, კაცი, რომელსაც ადამიანის ნიშანწყალი არ ჰქონდა და მთელი თავისი არსებით მხეცს, ტყის ნადირს ჰგავდა. მან შავ-სამარისაკენ გაისტუმრა არა ერთი და ორი ასეული, საუკეთესო რევოლიუციონერი. პოლიტპატიმრებს ის ყოველთვის განუსაზღვრელი ზიზღით უყურებდა და მეტად მკაცრად ეპყრობოდა. ეს ნადირი, მართლაც იმდენად შეუბრალებლად ეპყრობოდა პატიმრებს, რომ მან უბრალო ჯარისკაცობიდან საპატიმროს გამგის თანამდებობამდე მიაღწია.

პირველი საპატიმრო, სადაც სტანესკუ იყო უფროსი ეს არის ბუქარესტის საპატიმრო „ვ ა კ ა რ ე შ ტ ი“. ერთად-ერთი პოლიტ-პატიმრარი, რომელიც მას გაექცა იყო ამხ. მაქს გოლდშტეინი.

ეს მოხდა ჯერ კიდევ 1918 წ. მაქს მაშინ მხოლოდ 10 წლ. კატორღა ჰქონდა მისჯილი რუმინეთის სოციალისტურ პარტიაში მოღვაწეობისათვის და გაიქცა კიდეც საპატიმრო „ვაკარეშტი“-დან.

მაქსის დანახვაზე სტანესკუ გაყვითლდა სიბრაზისაგან:

— შენ ისევ ჩემთან მოხვდი, — უთხრა მან ბრაზმორევით. — შენ თავს ველარ დააღწევ ჩემგან მეორედ! დაემშვიდობე ქვეყნიერებას.

ამის შემდეგ მან მაქს მოუტანა ბორკილები და უთხრა:

— ამით გასაჩუქრებს შენ ჩვენი მთავრობა!

სტანესკუმ მაქსისათვის ამოარჩია ყველაზე უფრო ბნელი საკანი, რომელსაც სრულიად არ ჰქონდა სარკმელი. მაქსის საკანი იყო ყველაზე ბოლოს და გადიოდა კედლების პირდაპირ. მნახველებს, ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, არც რაიმე გადაცემას მაქსი არ ღირსებია იქ ყოფნის დროს. საკნის ავეჯეულობას შეადგენდა ერთი დანჯღრეული რკინის საწოლი, რომელიც მიჭედილი იყო კედელზე, ქეჩა, თივით დატენილი ბალიში და საბანი. თიხის ჭიქა, თიხის თეფში, ხის კოვზი და პარაშა — აი, მაქსის განკარგულებაში არსებული ნივთები. ბორკილებში ის მთელი დღე დადიოდა წინ და უკან თავის საკანში, ხან მღეროდა, ხან კიდევ ესაუბრებოდა თავის თავს.

დოფტანაში კიდევ იყვენ პოლიტიკურები, მაგრამ მათთან შეხვედრისა და გასაუბრების საშუალება არ ჰქონდა მაქსს. ის ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდა მათთან მიწერ-მოწერის მოსაგვარებლად, რათა გაეგო, თუ რა ხდებოდა გარეთ, ან რას აკეთებდენ ამხანაგები. მას განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ რა ამბები ხდებოდა მეზობელ რუსეთში, სადაც ის რუს პროლეტარებთან ერთად იარაღით ხელში ებრძოდა თეთრებს.

მასთან შეხვედრა ყოვლად შეუძლებელი იყო. როცა ის ეზოში ამოყავდათ სააბანაოთ, ან საპატიმროს კანტორაში მთელი საკნები იკეტებოდა.

1930 წლის მიჯნასთან

ყველა წლეები მიმავალ დროთა
დაგორდებიან გზებზე ლოდებად; —
ეხლაც ოცდაცხრას ვემშვიდობებით
და ოცდაათი გვიახლოვდება.

უკვე თერთმეტი შესრულდა წელი,
რაც ქვეყნისათვის ვიბრძვით გმირულად —
და მომავალშიც ვიბრძოლებთ ისევ,
შეუდრეკელად, თავგანწირულად.

ხშირად უწვდით ხელს დახმარებისა
ჩვენ სხვა ქვეყნების ტანჯულ ჩაგრულებს, —
მაგრამ არც ბრძოლის დროს დაუმალავთ
მტერს ოფლშემოღვრილ შუბლსა და გულებს.

ირგვლივ განგაში მუხანათური,
ჩვენ, ირგვლივ მტერთა რგოლი გვარტყია —
და ჩვენც იმიტომ არ გვავიწყდება
შრომასთან ერთად თოფი და ტყვია.

ყოველ ახალწლის მოახლოვება
გვმატებს ძალას და ახალ იმედებს —
მზად ვართ ბრძოლისთვის, ან ჩვენს ქვეყანას
ძმებო, უსისხლოთ ვინ გაიმეტებს?!

შეუდრეკელებს გვიჭირავს მაღლა
დროშა წითელი, ძლევისა მჩენი —
და გზას ვერავინ ვერ დაგვითალხავს
სანამ ელვარებს ჩირაღი ჩვენი.

ისე, ვით მუდამ ეს ოცდაათი
წელიც — იქნება თავდები იმის,
რომ მტერს ძველებურ შიშის ზარს დავსცემთ,
მშრომელთ კი, მოვგვრით ლხენას და ღიმილს.

მაშ ძმებო, ისევ, კვლავ შეუდრეკლად,
ნუ შეგვემჩნევა ნურავის დაღლა —
დროშა ძმობის და თავისუფლების
ავსწიოთ უფრო მაღლა და მაღლა.

ვ. ელდარელი.

ასე გაატარა მან 1923 წ. და 1924 წ. დასაწყისი. ამ უდიდესი ენერგიისა და ნებისყოფის პატრონი ადამიანისათვის ძნელი იყო მთელი დღეობით მარტოდ ჯდომა საკანში, სადაც წლიდან წლობამდე ვერ ატანდა სინათლე. როგორც ზემოდ აღვნიშნე მას არ ჰქონდა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნებით სარგებლობის უფლება, არც მნახველებს უშვებდენ მასთან. ადვილი წარმოსადგენია ასეთ პირობებში, თუ რა ძნელია საპატიმროს ცივსა და ნესტიან კედლებში მარტოდ-მარტო ყოფნა.

კერენსკის და მუსოლინის პირადი მეგობარი — მეორე ინტერნაციონალისა და საფრანგეთის სოც. პარტიის ბელადი — ალბერტ ტომა. 1927 წ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მან იმოგზავრა რუსეთში, რათა დაეთანხმებია მუშები და გლეხები ომის გაგრძელებაზე „სრულ გამარჯვებამდე“ ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალის საკეთილდღეოთ. ალბერტ ტომა ეხლახან დაბრუნდა იტალიიდან, მან დასწერა მთელი სერია წერილებისა; ის ამტკიცებს, თითქოს „ფაშიზმს ძალიან ბევრი ჰქონდეს დადებითი მხარეები“.

საპატიმროს სურსათზე ლაპარაკი ზედმეტია, ყოვლად შეუძლებელი იყო იმით კვება. ეს გარემოება დღითი-დღე ასუსტებდა მის ორგანიზმს, აცლიდა მას ენერგიას, გარედან კი, არავითარი დახმარების იმედი არ იყო.

განთავისუფლება! გაქცევა! და ცოცხლად თავის დაღწევა ამ ჯოჯოხეთიდან, — აი, რა იყო მისი ოცნება! მაგრამ ვისთვის ეთქვა რამე ამის შესახებ? ვინ გაუწევდა მას დახმარების ხელს? აქედან რამდენიმე ნაბიჯზე იყვენ ამხანაგები, მაგრამ მათთან დალაპარაკება შეუძლებელი იყო. იქ. იმათთან უფრო კარგი პირობები იყო შედარებით; იქ სინათლეს მაინც ხედავდენ, ადამიანებთან ცხოვრობდენ, მუშაობის საშუალებაც ჰქონდათ. იყო ისეთი პირობები, რომ რაიმესათვის დაგეხარჯა ენერგია, რომ არ მჯდარიყავი უსაქმოდ.

მაგრამ, როგორ გაძვრეს მათთან? მაქსმა კარგად იცოდა, რომ შეუძლებელი იყო შეხვედროდა ის სხვა პოლიტპატიმრებს. ის უფრო ადრე სიკვდილს მოელოდა ვიდრე ამას. ის უკვე კარგად გრძნობდა, თუ როგორ ლრღნიდა მის ენერგიასა და ჯანმრთელობას საკანში დამკვიდრებული სიბნელე, ნესტი და უსაქმობა. ამიტომ მან განიზრახა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა მიეღწია აქედან გადაყვანის უფლებისათვის.

ერთხელ მაქსმა თავის საკანში დაიბარა საპატიმროს უფროსი და უთხრა მას:

— გადამიყვანეთ ამხანაგებთან! ვიხრჩობი ამ ნესტიან საკანში მარტოობით.

სტანესკუმ სახე შეუქმუქნა სიბრაზისაგან:

— შენ გინდა საერთო კორპუსში იყო? შენ, რომელმაც მოაწყვე აფეთქება, შენ, რომელმაც ამოჟლიტე ხალხი და საავადმყოფო გაავსე დაჭრილებით? შენ, რომელიც ერთხელ გაძვერი ჩემი ხელიდან, შელავათს მოითხოვ? შეხ ამას ვერასოდეს ვერ ელირსები! ამ საკნიდან თავს ვერ დააღწევ! აქვე უნდა ჩაგალპო!

მაქსმა ვერ მოითმინა და შესძახა:

— შენ თვით ჩალპები აქ!

ამ სიტყვებისთვის მაქსი გადაიყვანეს „კარცერში". წაართვეს საწოლი და სიმინდის ფქვილის ფაფასა და წყალს აძლევდენ.

მაქსმა სიმშილობა გამოაცხადა; მოითხოვა გადაეყვანათ ის სხვა ამხანაგებთან.

სწორედ ამ დროს ქ. ვენაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და რუმინეთს შორის. რუმინეთისათვის არ იყო ხელსაყრელი მაქსის სიკვდილი. ამიტომ მხოლოდ 23 დღის განმავლობაში სიმშილობის შემდეგ, როცა ის სრულიად დაიცალა ძალღონისაგან, ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნილება.

არც სტანესკუ იჯდა ხელდაკრეფით. იმავე საღამოს მან მაქსი გადაიყვანა საიდუმლო საკანში. უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად ის დილით უშვებდა მაქს და საღამოობით ისევ იმავე საკანში ამწყვდევდა. ასე გაგრძელდა ეს კომედია 13 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ მაქსი ისევ ოზოლიაციაში მოათავსეს. ის გადაიყვანეს ისეთ საკანში, რომელსაც ჰქონდა პატარა სარკმელი, მას მისცეს ნაალი, წიგნები, პატარა ხერხი და სხვ. ის მუშაობდა ცალი ხელით (მეორე დაჰკარგა ოდესაში, სამოქალაქო ომში, ყუმბარების გაწინჯვის დროს).

მას ჰქონდა აგრეთვე თავისუფლად გასასვლელი ტალანი, რომელიც გადიოდა პატარა ბაღში, სადაც ის ყოველ დღე 2-3 საათის განმავლობაში ისვენებდა. მას არავისთან გალაპარაკების უფლება არ .ქონდა; არც არავის შეეძლო მასთან შესვლა და ყოველთვის სდარაჯობდა ზედამხედველი. გასეირნების შემდეგ მისი საკანი იკეტებოდა სამი ბოქლომით. გასაღებები ყოველთვის კანტორაში ინახებოდა და საკანის გაღების უფლება მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ უფროს ზედამხედველს.

მიუხედავად იმისა, რომ საპატიმროში ყოფნის პირობები ცოტათი გაუმჯობესდა, მისი ოცნება მხოლოდ ერთი წერტილის გარშემო ტრიალებდა; ეს იყო „გაქცევა". ის დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ამით დააღწევდა თავს იმ განადგურებას, რომელსაც მას უმზადებდა რუმინეთის ბურჟუაზია სტანესკუს საშუალებით.

ის მთელ თავის ძალღონეს ანდომებდა გაქცევის მოწყობას. მაგრამ მას ამ საქმეში არავინ გააჩნდა დამხმარე. მაქსმა გადაწყვიტა გასულიყო საპატიმროს სახურავზე და იქიდან გადამხტარიყო. ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, მაგრამ მან სხვა გამოსავალი ვერაფერი იპოვა. მან დაიწყო საამისოდ ვარჯიშობა. ის სარგებლობდა უფროსი ზედამხედველის არ ყოფნით და თავის გასეირნების საათებს ანდომებდა პირველი და მეორე სართულიდან გადმოხტომას. ერთ მშვენიერ დღეს მან ამ ვარჯიშობის დროს ფეხი იღრძო.

ქ. ვენის ახლოს (ავსტრია) ქარხანა ხენდას ადმინისტრაციამ წარმოებიდან დაითხოვა მთელი რიგი რევოლიუციონურად განწყობილი მუშები და მათ ადგილებში ფაშისტები ჩააყენა. ასეთმა ზომებმა მასიური მღელვარება გამოიწვია მუშებში, ისინი წინააღმდეგნი იყვენ ფაშისტების სამუშაოზე დაშვებისა, რასაც შედეგად მოჰყვა თვალსაჩინო შეტაკებები, რომელსაც ჩაერია შეიარაღებული პოლიცია.

საჭირო იყო თავი მიენებებია ამ გეგმისთვის. არც სტანესკუს ეძინა. ეს კუანასკნელი ყოველთვის სცდილობდა გამოეწვია მაქსი საჩხუბრათ, რათა ამის შემდეგ ის ისევ წინანდელ საკანში ჩაეგდო. ამას მაქსიც გრძნობდა. მეორეს მხრივ ის ხედავდა, რომ გაქცევის იმედები ცოტა იყო. ამ ხანებში მის მიერ გამოგზავნილი წერილები საშინელი წასაკითხავია.

სიკვდილი არ აშინებდა მას, ეშინოდა მხოლოდ იმ გარემოების, რომ სტანესკუ მას მიიყვანდა იმ მდგომარეობამდე, როცა ეს უკანასკნელი ყველაფერს უზამდა მას.

1925 წ. აგვისტოს 10 გამართლდა კიდეც მაქსის მოსაზრება. იმ მიზნით, რომ მაქსი გამოეწვია საჩხუბრად ასეთი საქმე მოუწყვეს მას: ზედამხედველმა სტანესკუს ბრძანებით მაქსს წაართვა ბაღში მოწყვეტილი მწვანილი და ხელსაწყოები. ზედამხედველმა უთხრა მას: მწვანილი საპატიმროს ბაღიდან არის მოწყვეტილი, ხოლო ხელსაწყოები სახელმწიფოს ეკუთვნის და შენ ამისი დაჭერის უფლება, როგორც ტუსაღს არა გაქვსო. მაქსი ამაზე გაცხარდა, არ დაანება ზედამხედველს მწვანილი და მას ქუდი უწოდა.

ზედამხედველი გაიქცა სტანესკუსთან და მოახსენა, მაქსმა მაგინაო.

სტანესკუ მოვარდა გაანჩხლებული, მივარდა მაქს და დაუწყო ქუჩური გინება. მაქსმა ვერ შეიკავა თავი და საპატიმროს უფროსიც გალანძღა. მაშინ სტანესკუ გაიქცა ჯარისკაცების მოსაყვანათ. მაქსი ვერ ითმენდა, როცა მას შეურაცხყოფდენ, ან შეავიწროვებდა ვინმე. სასწრაფოდ დატრიალდა ის, შევარდა თავის საკანში, კარები გადაი-

კეტა, შეაქუჩა ერთად რაც ნივთები ჰქონდა, ცეცხლი წაუკიდა და ზედ დააწვა. საკანიდან გამოსული ბოლი მაშინვე შეამჩნიეს, საჩქაროდ კარები შეანგრიეს და სულმობრძავი მაქსი გარეთ გამოიყვანეს. სტანესკუმ ბრძანება გასცა მაქსისთვის ხელფეხზე ხუნდები დაედვათ და ყველაზე უფრო ბნელ საკანში გადაეყვანათ.

„მოვა დრო, — ფიქრობდა მაქსი, — განთავისუფლდება მუშათა კლასი კაპიტალისტური რეჟიმის კლანჭებისაგან, მაშინ კი ისინი შურს იძიებენ ჩემი ასე წამებისთვის... ისინი სასტიკ პასუხს მოთხოვენ მათ ჩემებრ დევნლ და გაწამებულ რევოლიუციონერების განადგურებისათვის.. მოვკვდე, თუნდაც იმისათვის, რომ ჩემს შემდეგ გაიგონ მუშებმა, თუ როგორ ვცხოვრობდი მე:.. დე გაიგონ იმათ, რომ მე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე სულით და ხორცით ვეკუთვნოდი მათ“.

იმავე დღეს მაქსი ისევ ცალკე საკანში გადაიყვანეს. ის იყო მარტოდ-მარტო, მიკრული რკინის საწოლზე და შავი ოცნება მოსვენებას არ აძლევდა მას; ღრღნიდა მის სულსა და გულს. ვის შეუძლია წარმოიდგინოს იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც მთელი კვირაობით, თვეობით სიმშილობს, ქანცმოლეული მარტო აგდია საწოლზე და ადამიანის სახეს არ ჰხედავს? არავინ იყო ისეთი, რომელსაც თუნდაც ერთი წუთით მაინც ეჩვენებია მისთვის მომღიმარე პირისახე. განა შეიძლება იმაზე უფრო დიდი საშინელების წარმოდგენა, რომ იწვე მარტო და საკუთარი თვალით უყურებდე შენი სიცოცხლის აღსასრულს, იმედების დამსხვრევას? განა შეიძლება იმაზე მეტი საშინელება, რომ როცა მოგშივდება საჭმელის მაგივრად საკუთარი ნერწყვი ყლაპო? ნუ თუ რაიმე წარმოადგენს, იმაზე მეტ უბედურებას, რომ მთელი კვირაობით იწვე მწიერ-მწყურვალი და საკუთარი თვალებით პირისპირ უცქირო სიკვდილს?

მიმდინარე წლის ოქტომბრის 27 ქ. ჰამბურგში კომპარტიის მიერ მოწყობილ იქნა კრება ჰამბურგის აჯანყების წლის თავის აღსანიშნავად. დარბაზი გაჭედილი იყო დაინტერესებით, ახლო-მახლო ქუჩებში თავი მოეყარა მოზღვავებულ ხალხს, რომელსაც სურდა დასწრებოდა კრებას. კომუნისტების ასეთი გამარჯვებით გაგულისებული პოლიცია სრულიად უსაბაბოთ თავს დაესხა ქუჩებში მდგომ მუშებს. სურათზე — დაჭრილი მუშა პირველ დახმარების პუნქტში.

არაფერი, არაფერია ამაზე უარესი და უსაშინელესი.

სიმშილობის გამოცხადების მე-21 დღეს მასთან მოვიდა საპატიმროთა მთავარ სამმართველოს უფროსი ინსპექტორი არსენესკუ, რომელმაც პირდაპირ განუცხადა მას:

— ისე მოკვდები, რომ ვერ ეღირსები შენი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ჩვენს ხელთ არის წერილები, სადაც სწერია შენი განზრახვა იმის შესახებ, რომ შენ გინდა მოკლა საპატიმროს უფროსი და გაიქცე, — უთხრა მაქსს არსენესკუმ.

ცხადია შეუძლებელი იყო მათ ჰქონოდათ ასეთი წერილი, ვინაიდან მაქსს ის არასოდეს არ დაუწერია. ისინი თვითონ თხზავდენ ასეთ „საბუთებს“ ვინაიდან კარგად იცოდენ, რომ მაქსი დათმობაზე წასვლას სიკვდილს არჩევდა. ამიტომ ადმინისტრაციამ წინასწარ მოამზადა ეს „საბუთი“—მაქსის გარდაცვალების შემდეგ მოსალოდნელ „გაუგებრობათა“ თავიდან ასაცილებლად.

მაქსის სიმშილობის მე-42 დღეს ჩვენ (პოლიტიკურები) დაგვანაწილეს ცალკე საკნებში. იმავე დღეს მოვიდა საპატიმროთა მთავარ სამმართველოს უფროსი ჩერნატი. ეს ის ჩერნატი იყო, რომელმაც დაკითხა და „გაასამართლა“ მაქსი. ჩურნატი მარტო არ მობრძანებულა, მან თან მოიყვანა თავისი მეუღლე, რათა ეჩვენებია ამ უკანასკნელისათვის ის ადამიანი, რომელიც მისი განკარგულებით რამდენიმე დღის შემდეგ სიცოცხლეს გამოესალმებოდა. მასვე ჩამოჰყვა სასამართლოს გამომძიებელი პოპადოპოლი, რომელსაც უნდა შეედგინა ქმანი შესახებ იმისა, რომ მაქს აძლევენ საჭმელს, მაგრამ ის უარს აცხადებს.

როცა ჩერნატი შევიდა მაქსთან მან გაიძვერული კილოთი შეეკითხა:

— რატომ სიმშილობ? რას მოითხოვ შენ მაქს? მე შენ სუყველაფერს მოგცემ, ჩემს ტანისამოსსაც მოგცემ, ოღონდ შესწყვიტე სიმშილობა, — მან მართლაც გაიხადა პალტო.

მაქსმა ძლივს გასაგონად წარმოსთქვა:

— მინდა ამხანაგებთან ვიყვე ერთ საკანში!

— ეს შაუძლებელია, — მიუგო ჩერნატმა და კანტორაში გავიდა ქმანის შესადგენად.

56 დღის შემდეგ, როცა მაქსი სრულიად ჩამოდნა და მარტო ჩონჩხი-ღა დარჩა, ის ჩამოვარდა ნარიდან, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და კარებს დაუწყო მტვრევა. თან ყვირილი მორთო:

— ჯალათებო, ჯალათებო! თქვენ მე მაწამეთ, მსტანჯავთ!

ჯარისკაცი და ზედამხედველი, რომლებიც მის საკანს დარაჯობდენ დარწმუნებულნი იყვენ, რომ ის უკვე მკვდარი იყო. ისინი ისე დაფრთხენ, რომ გამოვარდენ საპატიმროდან და ღრიალი მორთეს, მაქსი მოგვდევსო.

სიმშილობის გამოცხადების დღიდან სტანესკუ არ შემოსულა მაქსთან. ის მხოლოდ ყოველდღე მოდიოდა კანტორაში და კითხულობდა:

— კიდევ არ ჩაძაღლებულა ის ებრაელი? როდის გავთავისუფლდები მისგან?

მაქსის მშობლები ცდილობდენ ენახათ ის. სტანესკუ აგზავნიდა მათ ჩერნატთან, რომელიც თვალის ასახვევად და დასაშოშმინებლად აძლევდა მათ შესვლის ნებართვას. ანესკუ კი — ხევდა ამ ნებართვებს და არავის არ უშვებდა მაქსთან. ასე გაგრძელდა ეს კომედია სიმშილობის გამოცხადებიდან 63 დღის განმავლობაში.

1925 წ. ოქტომბრის 11, დღის 3 საათზე, როცა მაქსის მდგომარეობა სრულიად უნუგეშო იყო სტანესკუ მაქსის დასთან ერთად შევიდა საკანში.

მაქსი იწვა უძრავად. დის დანახვაზე მან ტუჩები გაატოკა, მაგრამ სიტყვის გარჩევა შეუძლებელი იყო. მაქის და ატირდა. სტანესკუმ კისერზე წაუჭირა მას ორივე ხელი და შესძახა:

— ჩუმად, გაიძვერავ, თორემ შენ ძმასავით დაგახრჩობ აქვე! — ამის შემდეგ სტანესკუმ ბრძანება გასცა გაეყვანათ ის გარეთ.

ერთი საათის შემდეგ, ე. ი. 1925 წ. ოქტომბრის 11, დღის 4 საათზე მაქსი უკვე აღარ იყო... გარდაიცვალა...

მაგრამ მაქსი არ მომკვდარა, ის კვლავ ცოცხლობს მრავალ მილიონიან მუშებისა და გლეხების გულში, რომელთა ინტერესებისათვის ის იბრძოდა და გმირულად დაიღუპა.

ა. ვ. დუბინსკი.

ფ ო ლ ა დ თ ა შ ო რ ი ს

(გაგრძელება *)

VIII

მიდიოდა დათია ქალაქისაკენ დანაღვლიანებული, გულჩათხრობილი. გზაში მრავალი რამ გაიფიქრა; განვლილი ტანჯვისა და უბედურების დღეები ცალკეულ სურათებათ დაეხატა. სახლკარის განიავებამ და მშობლების სიკვდილმა გული დაუღრღნა და ღონემიხდილი ერთ წყაროს მახლობლად ჩამოჯდა. ზურგიდან აბგა ჩამოიღო, გადახსნა და შავი ტყავის ყდიანი რვეული ამოიღო. ეს იყო მისი დღიური, რომელსაც ტყვეობაში ყოფნის დროს სწერდა.

მკითხველო, დათია ტფილისში მიდის, მაგრამ ვიდრე ის ქალაქში შევიდოდეს, ჩვენ მისი დღიური გადავფურცლოთ და გადავიკითხოთ.

18 აპრილი 1917 წ.

ტყვე ვარ, მაგრამ მიხარია, რა უნდა მიყონ ისეთი, რომ იმაზე უფრო საშინელი იყვეს, რაც მე ჩემი ქვეყნიდან ფრონტამდე გამოვიარე. შაშხანა მაინც არ მიჭირავს ხელში. კაცს აღარ ვკლავ. სხვა რაც უნდა ის დამემართოს.

19 აპრილი 1917 წ.

წვიმიანი დღეა. ბარაკში ცივა. თვალიდან დამეკარგა ავსტრიელი ჯარისკაცი, რომელიც ხიწტზე უნდა წამომეცო. წინა დღით პაპიროსები მომცა და ერთიც თუნუქის „კრუჟკა". იუზევი, ნეტავ სად არის?!

12 მაისი 1917 წ.

დღეს პირველად გვგზავნიან სამუშაოზე. ტყვეები ზანტად მიაბიჯებენ. ეზარებათ, ალბათ იმიტომ, რომ ცოტასა სჭამენ. მე კი რა მაქვს დასაზარებელი. ღონე არ მაკლია და მარჯვენა. კბილებჩაცვენილი ზედამხედველი, რომელიც ორმოცდაათი წლის იქნება ღიმილით მიცქერის. საერთოდ კი ნაოჭიან ლოყებზე მუდამ ბრაზი დაურბის. რაღაცას გაიძახის. მე არ მესმის მისი ენა. დალახვროს ღმერთმა, რამდენი სხვადასხვა ხალხია ქვეყნად?!.

5 ივნისი 1917 წ.

მას შემდეგ ყოველდღე ვმუშაობთ. ვაგონებს ვტვირთავთ სურსათით. რა ეშმაკი ხალხია, მათი ჯარის გასაძღომად, რომელიც თავგამოდებით ებრძვიან ჩვენებს, ჩვენ ვე გვამუშავებენ. მე გულწრფელად ვმუშაობ, ისევე როგორც სახლში ვიმუშავებდი. გაძეხით დაბეჩავებულო ჯარისკაცებო, თქვენ ისედაც უბედურებაში იმყოფებით, გინდ ავსტრიალები იყავით და გინდ რუსები. სულ ერთი არ არის?! დღეს ზედამხედველი მომიახლოვდა და მხარზე ხელი დამარტყა. ჩაცვენილი კბილებით გამეღრიჭა. ძლივს შევიკავე სიცილი.

7 ივნისი 1917 წ.

ახალი ტყვეები მოიყვანეს. ჩვენ გაფაციცებით ვუცქეროდით. ნაცნობებს ველოდით. ტყვეები მივარდენ გიჟებივით. ეკითხებოდენ: არ თავდება ომი?.. არაფერი იცით?.. ისინი ხელის ჩაქნევით იძლევიან პასუხს. რა უნდა იცოდენ, ერთ ტაფაში ვიწვით.

5 ივლისი 1917 წ.

დღეს ბარაკში გუშაგად ჩემი მეგობარი ავსტრიელი იდგა. გაუცინე. არც კი გამიღიმა. იდგა გაშტერებული შეურხევლად თოფით ხელში. მეწყინა. მთელი დღე ამაზე



კანტონის კომუნის დაცემა. კომუნარის საჯაროდ დასჯა.

*) იხ. ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ის № 10.

ვფიქრობდი. საღამოთი კი, მუშაობიდან, რომ ვბრუ-
სდებოდით კარებში დამიხვდა. ხელი ჩამომართვა. მიცი-
ნოდა. კამარადს მეუბნებოდა. მე ვისწავლე ეს სიტყვა, ამ-
ხანაგს ნიშნავს. ორი მუჭა შაქარი მომცა. დღეიდან ჩემი
ჩაი ტკბილი იქნება.

1 გავისტო 1917 წ.

დღეს ტყვეებში საშინელი მწუხარება ჩამოვარდა. რამ-
დენიმე ტყვე ავად გახდა. წაიყვანეს. ბევრი სულით დაეცა.
ბავშებივით ტირიან. შინ დაბრუნება უნდათ. ერთი ტყვე
მოშიახლოვდა და მეუბნება: დათა, შენ რევოლიუციონე-
რებთან ახლო იდექი, ერთი მითხარი, ამ რევოლიუციას
ნუ თუ ასე ამაოდ უნდა ჩაიაროს. მე მხრები ავიწიე და
კითხვის ნიშანივით მივაჩერე თვალები. ეს მამაძაღლი
ფრონტზე გაიძახოდა „ომი გამარჯვებამდეო“ ათისთავ-
იყო. წარმატება უნდოდა. გიორგის ჯვარი.. სულელი..

15 აგვისტო 1917 წ.

ბებერმა ზედამხედველმა სამუშაოზე მისვლისთანავე
თავისთან მიმიხო, ხელით მანიშნა, რომ მასთან დავრჩენი-
ლიყავი. თანაც რამდენიმე სიტყვა დაუმატა გამეხარდა.
გუშაგები აღარ მითვალყურებენ. მასთან საწყობში დავიწ-
ყე მუშაობა. მის ენას ვამტვრევ. ძალა-უნებურად ვსწავ-
ლობ. ტყვეები შემომნატრიან თავისუფლებას.

1 სექტემბერი. 1917 წ.

არაფერი ახალი არ არის. ჩემს ირგვლივ ყველაფერი
მოძველდა. შემჯავრდა ტომრები და ყუთები, რომლებსაც
ძე ვეზიდებოდი. რა საძაგელია დღეს ცა. ღრუბლებით და-
ტეხილი, ნისლიანი, ჟონავს წვრილი წვიმა.

ჩემი დახეული შარვალ-ხალათი, რომლის შიგნიდანაც
ნიფხავ-პერანგი და ხორცები მომიჩანს, ჯერ კიდევ ტყვე-
ობის დაღს მაჩნევს. მე ვგრძნობ ზურგზე და მკლავებზე
როგორ მეცემა წვიმის წვეთები. სიცივეს არ ვგრძნობ მაგ-
რამ ციების ჩუმი ჟრუანტელი მივლის სხეულში. შემოდ-
გომა მოდის.

18 სექტემბერი 1917 წ.

რა უცნაურად გარბის დრო. ჩემს ირგვლივ ბევრი რამ
შეიცვალა. თუმცა არაფერიც არ შეცვლილა. ეს მე შევი-
ცვალე ტანსაცმელი, სხვაგვარი სახე მივიღე და თითქოს
ქვეყანა, რომელსაც ვხედავ შეიცვალა მეთქი. საწყობის გამ
გემ თავის შარვალი და პინჯაკი მაჩუქა. აღარ შეიძლებო-
და ჩემს ტანსაცმელში სიარული. რა დიდი ღიპი ჰქონია
ჩემს მფლობელს, მუცლის სიცალიერე არ ვიცი, რითი
აძოვავსო. რამ გაასუქა ასე?

ოქტომბერი.

თვალიდან შემომეცალა ყველა ნაცნობი სახე. ტყვე
ჯარისკაცებს ველარა ვხედავ. ისინი სადღაც გადაიყვანეს.
აი, ეხლა მარტო ვარ ამოდენა ქვეყანაზე. საწყობის გამ-
გემ უკვე თავი მომაბეზრა ბუზღუნით. თავისი ნაოჭიანი
სახე ჩვეული ბრაზით ჩემთვისაც მოიმარჯვა. დამაცადოს!..

27 ოქტომბერი.

ოქტომბრის გადატრიალების ამბავი მოვიდა. როგორ
მიხარია!.. მაგრამ ვის ვუთხრა ჩემი სიხარული, მეგობრად
არავინ არა მყავს. აქაური გაზეთები აჭრიელებულია რუ-
სეთის ამბებით. ისინი კითხულობენ და თავებს აქნევენ
ერთმანეთს განცვიფრებით უცქერიან. მე შუაღამისას გა-
მოვიქეცი ქალაქში. აღარ შემიძლია ქალაქს გარეთ მუ-
შაობა. უაზროდ ტომრების ზიდვა. როგორ დამეძებს ეხლა
ჩემი ბებერი?!. ავსტრიულად უკვე ვლაპარაკობ, ენა მეს-
მის, მხოლოდ კითხვა არ ვიცი. როგორ მინდა წავიკითხო
თუ რა სწერია გაზეთებში. არც ფული მაქვს რომ ვიყიდო,
იქნებ ვინმეს წავაკითხო. ჩემს წინ პატარა ბავში მორბის,
ხელში დეპეშის ფურცელი უჭირავს. გახარებული სახით
მიეშურება სახლისაკენ.

— Kinder, — დაუძახე მე.

ის შეჩერდა. რა გნებავთ ცოცხალი და წკრიალა ხმით
შემეკითხა. მე ვსთხოვე დეპეშები წამიკითხე მეთქი. უარზე
სდგას. ამბობს მამა მიცდისო. მე ჩაბლაუჭებული ვარ მისი
პატარა პინჯაკის საყელოში და არ ვუშვებ. „გამიშვით,
მამა გამიჯავრდება, მელოდება, მამას ფეხი სტკივა და
გარეთ ვერ გამოდის, დეპეშის წაკითხვა უნდა... ვიბრძვით
მე და პატარა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან კაცმა
თავი გადმოჰყო. ბავშს გადმოსძახა: — ჟორჟ!.

ბავშთან ერთად მეც მივიხედე; ხმა მეცნაურა. ბავშს
ხელი გაუშვი და ის როგორც შურდული ისე გასრიალდა
ბინისკენ. მივყევი ფეხდაფეხ. კიბეებზე ავირბინე. აივანზე
შემოეგება ბავშს მამა ყავარჯენით ხელში. დეპეშები გა-
მოართვა. დავაკვირდი, კიდევ ერთხელ გავიხარე.

— იუზეფ!. მივაძახე და მიუახლოვდი, გადავეხვიე. მა-
საც სიხარულისაგან ხმა აუკანკალდა. ოთახიდან გამოვიდა
ქალი და კიდევ ორი ბავში. იუზეფმა გადახედა მათ და მე-
რე მე შემომხედა. მე მოვიგონე ბრძოლის ველი და გამე-



ხარდა, რომ ნამდვილი ადამიანი ვიყავი. გულში ჩემს თ ვს მადლობას ვეუბნებოდი, რომ არ მოვკალი ამ პატარა ბავშის მამა. ოთახში შემიყვანეს. მალე მთელი ოჯახი ჩემი ახლობელი და საყვარელი კერა შეიქნა. იუზეფმა არაყი გადმოიღო. თან ვსვამდით თან ვკითხულობდით. რუსეთში ოქტომბერი მოხდა. რა კარგია.

3 ნოემბერი.

ერთი კვირაა იუზეფთან ვცხოვრობ. უჭირს ოჯახის რჩენა. უმუშევარია. შემთხვევითი ტყვიით ფეხში დაჭრილა და გაუნთავისუფლებიათ. სადაცაა მორჩება და დაპირებულია ერთად მივალთ პაპიროსის ფაბრიკაში სამუშაოდ. უნდა ვიმუშაო ვიდრე დავბრუნდები ჩემს თავისუფალ ქვეყანაში.

15 ნოემბერი.

დღეს საშინელი ქარი ქრის. ჩემი ტანსაცმელით გარეთ არც კი გაისვლება. ყოველი წუთის შემდეგ გადაურაზავ ალაყაფის კარს შემოაღებს ხოლმე ქარი და სულის შემწუხებელი ჭრიჭინი გაისმის. ჩემს პატარა ოთახში, რომელიც უფრო საკუჭნაოს ჰგავს სიცივის ნემსებია შემოჭრილი

იუზეფი შემოვიდა ჩემთან. ის ოდნავ მოიკოჭლებს. მითხრა, რომ დღეს უნდა წავსულიყავით სამუშაოს საძებნელად. მე საჩქაროდ მივალაგე ქვეშსაგები. ჩასაცმელი არაფერი მქონდა, ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა ზერ მეცვა. გამოვიხურეთ კარი და წავედით. თუთუნის ქარხანაში მივედით. ორივე მიგვიღეს. ის როგორც ხელოსანი გილზის დამზადებაზე, მე კი ისევ პაპიროსით სავსე ყუთები უნდა მეზიდა ერთ განყოფილებიდან საწყობში. რა უბედურებაა, სულ ერთი და იგივე. შეურიგდი მდგომარეობას.

ხვალიდან მუშაობას ვიწყებთ...

25 ნოემბერი.

უკვე ათი დღეა ვმუშაობ. ფულს იმდენს ვიღებ, რამდენსაც ჩემი რჩენა შეუძლია, სიმშილით არ მოვკვდები. ჩემისთანა მუშა ათასობით არის ჩვენს ფაბრიკაში. მე რა მიჭირს, მარტო ვარ; მათ ცოლშვილი ჰყავთ. ძლიერ ხშირად მესმის მუშების უკმაყოფილო საუბარი. მე თავხედურად და უშიშრად ვიქცევი, ისევე როგორც თებერვალში ფრონტზე, მე მათ ვეუბნები, რომ ხელისუფლება, ისევე როგორც რუსეთში მუშებმა უნდა ჩაიგდონ ხელში. ისინი კი გაშტერებულნი მიცქერიან, ვერც ჰოს იძახიან, ვერც არას, ეშინიათ ჩემიც კი, ჯაშუში ვგონივარ.

2 დეკემბერი.

10 დეკემბერი.

ამ რვა დღეში ჩემს ირგვლივ დიდი ამბები მოხდა. თოვლი მოვიდა. ნამდვილი ზამთარი დადგა. მე ქუჩა-ქუჩა დავდივარ უმუშევარი, მშიერ მწყურვალი. სამუშაოდან დამითხოვეს. ეს მოხდა სწორედ დღეს. ფაბრიკაში გაფიცვა მოხდა, ხელფასის მომატებას ითხოვდენ. ფაბრიკის ეზოში მიტინგი მოაწყეს და ამბობდენ, რომ ვიდრე ხელფასს არ მოუმატებდენ მუშაობას არ დაიწყებდენ. მე ეს მუქარა სასაცილოდ მიმაჩნდა. უკმაყოფილო ბავშების წინააღმდეგობად. მე ავედი ტრიბუნაზე და ვუყვიროდი, რომ გაფიცვა არაფერს გვარგებს. მწარმოებლები მაინც მოგვატყუებენ. როდემდის უნდა იყოს ეს თამაში, პირდაპირ იერიშზე სჯობია გადასვლა. ხელისუფლება — ხელში, მოვუწოდებდი. მუშები ყვიროდენ „მართალია" — მაგრამ გარეთ, რომ გამოვედით პოლისმენმა მხარზე ჯოხი დამადო და თავაზიანად მანიშნა წავყოლოდი. წავყევი. ერთი კვირა ვიჯექი საკანში პურსა და წყალზე. მერე გამომიშვეს მხოლოდ სასტიკად დამავალეს, რომ ყოველ დილა გამოვცხადებულიყავი. ფაბრიკაში დავბრუნდი. ალაყაფის კარებთან მდგომმა დარაჯმა შიგ არ შემიშვა. ხელით მანიშნა დაფაზე. წავიკითხე: სულ 35 კაცი ვყავით დათხოვნილი გაფიცვების შეწყვეტის შემდეგ. მე ეზოში კარგა ხანს ვიცქირებოდი. ვხედავდი, ჩემი ამხანაგები, როგორ ეზიდებოდენ თუთუნის ყუთებს საწყობისაკენ. გული დამწყდა. გამოვბრუნდი. არაფერია, ასეთ სამუშაოს ყველგან ვიშოვი. დავდივარ ქუჩებში უაზროდ. ჩემს ფეხთ ქვეშ იტკეპნება თეთრი სპეტაკი თოვლი და მერე ლოვება, ჭუჭყის ფრად დნება. როგორ ისვრება ფეხთ ქვეშ სპეტაკი თოვლი?!.



გერმანელი ფაშისტები სტუმრად იტალიელ ფაშისტებთან. სურათზე — გერმანელ ფაშისტების „ფოლადის მუზარადი"-ს ერთ-ერთ ჯგუფს, რომელიც რომში ჩავიდა, ხვდებიან ადგილობრივი ფაშისტური ორგანიზაციის წარმომადგენლები.

15 დეკემბერი.

სამუშაოს დავეძებ. რამდენიმე ადგილას მიმასწავლეს. ტვირთის მზიდავები სჭირდებათ. მე კი რატომღაც ყველგან უარს მეუბნებიან. ჩემს თვალწინ მიიღეს ერთი, რომელიც ჩემს შემდეგ მოვიდა. მე დროებითი მოწმობა მომთხოვეს, გადავეცი. მათ განცვიფრებული თვალებით ჯერ მოწმობას დაუწყეს სინჯვა მერე მე, და უარი მითხრეს. ადგილი არა გვაქვსო. რა ვქნა, ნუ თუ მშიერი მოვკვდები?!. ისევ პოლიციაში უნდა გამოვცხადდე, შევეხვეწები როგორმე მომათავსონ საპყრობილეში. გირვანქა პურს მაინც მომცემენ?!.

20 დეკემბერი. 1917 წ.

1 იანვარი. 1918 წ.

იმ დღეს პოლიციაში მართლაც წავედი, დაჟინებით ვთხოვდი ჩემს დატუსაღებას. პატარა პოლიციელს, რომელიც მეტის-მეტი დაბალი და წვრილი იყო, ჩაცვენილი

ყბებითა და თვალებით კინაღამ საცემად მივარდი, როდესაც მან, რამდენჯერმე უარი მითხრა ჩემს თხოვნაზე. საქმე ჩხუბამდე მივიყვანე. ბოლოს დამიჭირეს. ქალალდებს ქექვა დაუწყეს და აღმოჩნდა რომ მე ქალაქიდან გასაძევებელი ვყოფილვარ. პატარა პოლიციელმა ეშმაკური ღიმილით მადლობა მითხრა გამოცხადებისათვის. გამაყოლეს პოლიციელი და ქალაქ გარეთ მიმიყვანეს. ისევ იმ ბარაკში სადაც ცხრა თვის წინად ტყვეები მოგვათავსეს. მე აქ რამდენიმე ფრონტის ამხანაგს შევხვდი. თითქოს უკეთესად ვიგრძენი თავი. ვნახოთ რა იქნება შემდეგ.

15 იანვარი.

დღეს ოფიციალურად გვაცნობეს, რომ ტყვეებს გვაბრუნებენ რუსეთში. ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ თავისუფლებას გვაძლევენ.

გახარებული ტყვეები ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან. თუ გინდ საკუთარ ცოლსა და შვილებს გადაჰხვეოდენ, ისეთ ბედნიერებას გრძნობენ. მაშ წავალთ, წავალთ.

16 იანვარი.

1 თაბერვალი.

ხუთმეტი დღე, როგორც ხუთმეტი წელი ისე გავიდა. მოლოდინმა გული გამიწვრილა და თმა გამითეთრა. დღემდე გააჭიანურეს. დღეს კი გვგზავნიან. უკვე ვამზადებთ ჩვენს ბარგს. (რა გვაქვს?!.) ორი საათის შემდეგ სადგურისაკენ და გავქროლდებით სამშობლო ქვეყნისაკენ... წერა არ შემიძლია.

2 თებერვალი.

მოვქრიალართ... ორთქლმავალი გაჰკივის, მაგრამ ჩვენი გულებიც ისევე გაჰკივიან, როგორც ქარხნის საყვირები. ეს სიხარულის განგაშია. ერთ საბარგო რონოდაში ოცდაათ კაცამდე ვართ. ამხანაგები ყუთებზე უკრავენ სხვადასხვა სათამაშოებს და ცეკვავენ. მიჰქრის მატარებელი. ზამთრის სურათები გვეხატება თვალწინ. რონოდას ოთხი ფანჯარა აქვს და ჩვენ ჯერით ვიცქირებით გარეთ. თოვლიანი ველები და თეთრი ტყეები ავსებს თვალებს. საზღვარს უკვე გადმოვედით. რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში ჩავალთ. იქიდან გაგვანაწილებენ ბინადრობის მიხედვით. მალე... მალე...

დათამ რვეული გადასინჯა და კარგა ხანს აცქერდებოდა ზოგიერთ ადგილებს ის სიმწარე რომელიც მან განიცადა, ეხლა უკვე რაღაც სიამოვნებად ევლინებოდა. რამდენი რამ ნახა, რამდენი გამოცდილება მიიღო და რამდენი რამ ისწავლა. ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია, ის დაუვიწყარ გაკვეთილებს იძლევა.

რვეული გადასინჯა. გულში კვლავ სიმხნევისა და დაუდეგრობის ძლიერი ნება აუძგერდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ განაგრძნობდა სთვლას მძიმე და დაუღალავ ნაბიჯებით.

(შემდეგი იქნება).

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

რემედიესი სპეციალური

უმსგავსოება, ანუ ნაჯყეგიას „მუშაობა"

(ხეთა, ზუგდიდის მაზრა)

ახლო წარსულში რემედასის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა დაათვალიერა რემედასის ხეთის სათემო კომიტეტი.

გამოკვლევა იძლევა შემდეგ სურათს:

1. თემკომს არ უწარმოებია გეგმიანი მუშაობა, 2. თემში არსებულ 5 უჯრედისათვის არავითარი ხელმძღვანელობა არ გაუწევია რემედასის თემკომს, ამ არანორმალური მოვლენისათვის არც უჯრედის მდივნებს მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება. 3. თემკომი არ აწარმოებს თავის სხდომებს სისტემატიურად და არც ერთ საკითხს არ იხილავს. 4. თემკომსა და ადგილობრივ პარტიულ-პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის არ არის შეთანხმებული მუშაობა. 5. რემედასის სამაზრკომის დირექტივებისათვის არავის არ მიუქცევია ყურადღება და ასეთი დღემდის არ არის ცხოვრებაში გატარებული, 6. 1929 წ. განმავლობაში სრულიად არ არის აკრებილი საწევრო ანარიცხები, 7. საზაფხულო სამუშაო გეგმის არც ერთი მუხლი არ არის სისრულეში მოყვანილი, 8. თემკომის გადარჩევის *) დღიდან სამაზრო კომიტეტში არც ერთი კაპეიკი არ არის გადაგზავნილი.

ამ ყოვლად დაუშვებელ უმსგავსოებასთან ერთად ერთ მეტად სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი. სახელდობრ, თემის მასშტაბით არ სწარმოებს მშრომელ მოსახლეობაში ინტერნაციონალური და აღმზრდელობითი მუშაობა. არ ტარდება საუბრები, მოხსენებები და ლექციები რემედასის ამოცანების ირგვლივ; რემედასს უშუალოდ არც ერთი კამპანია არ ჩაუტარებია, არც სხვადასხვა ხასიათის კამპანიებში მიუღია მონაწილეობა.

ეს ხდება მაშინ, როცა ხეთის თემში რემედასს შეუძლია სამაგალითოდ დააყენოს თავისი მუშაობა, ვინაიდან აქ მშრომელ გლეხობასთან ერთად 700 მუშაც მუშაობს, როგორ რკინის გზაში, ისე ხე-ტყის ქარხნებსა და სხვ.

ჩვენს მიერ აწერილი მდგომარეობა ნათლად მოწმობს იმას, რომ როგორც სათემო კომიტეტის, ისე სარევიზიო

*) თემკომი გადაურჩევიათ 1929 წ. აპრილის 27.

დ. ხ.

კომისიის შემადგენლობა სრულიად უვიცი და უვარგისი გამოდგა იმ დიდი ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად, რომელსაც მიზნად ისახავს რემედასის ორგანიზაცია.

თემკომის თავმჯდომარე, კომკავშირის წევრი, გ ი ო რ გ ი ნ ა ჭ ყ ე ბ ი ა სიტყვით ძალიან ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ სინამდვილეში ის არაფერს არ აკეთებს, მას არც წარსულში გაუკეთებია და არც აქვს საამისო უნარი. მაგალითად ამხ. ნაჭყებიამ არ იცის, სად როგორ უნდა ჩამოაყალიბოს და უხელმძღვანელოს რემედასის უჯრედს.

მისი უმოქმედობა სჩანს იქიდანაც, რომ რკინის გზია ტრანსპორტის ადგილკომის თავმჯდ. ამხ. დათიკო მალანიამ უშუალოდ ჩამოაყალიბა უჯრედი, რომელიც აერთიანებს 50 წევრს.

ამხ. ნაჭყებია, რომ გულცივად ეკიდება საქმეს და მას სრულიად არ აინტერესებს რემედასის მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება სჩანს იქიდანაც, რომ თუ ხეთის თემში 1928 წ. ივლისში ითვლებოდა რემედასის 350 წევრი, დღეს მას არ შეუძლია დაასახელოს თუნდაც ერთი წევრი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამხ. მალანიას მიერ ჩამოყალიბებულ უჯრედის წევრებს.

ასეთია რემედასის ხეთის სათემო კომიტეტის მოღვაწეობა; ამას ბოლო უნდა მოღებოდა თავის დროზე, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებს. არც სარევიზიო კომისიას მიუღია სათანადო ზომები ამის გამოსასწორებლად.

ჩვენ დაუყოვნებლივ მოვითხოვთ ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსწორებას. საჭიროა გადარჩეული იქნეს, როგორც თემკომი, ისე მისი სარევიზიო კომისია. დროა რემედასის მუშაობით დაინტერესდეს ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები. დროა ადგილობრივმა პარტიულმა ამხანაგებმა შეიგნონ რემედასის დიადი ამოცანები და ხელი შეუწყონ მშრომელთა ინტერნაციონალურად აღზრდას.



რემედასის ხეთის (ზუგდ. მაზრა) სათემო კომიტეტის ბინა, ან ნ ა ჭ ყ ე ბ ი ა ს „მოღვაწეობის“ შედეგი.

ჩვენ ვუცდით სათანადო ზომების მიღებას აღნიშნული უმსგავსოებათა გამოსასწორებლად.

რემედასის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის

პ/მგ. მდივანი: **დ. ხურცილავა.**

ინტერნაციონალური მუშაობა სკოლებში

სკოლებში სხვადასხვა ფენის ახალგაზრდობაა გაერთიანებული. ხშირად მოიპოვებიან ისეთი ელემენტებიც, რომლებსაც უცხო იდეოლოგია შემოაქვთ მოწაფეთა პროლეტარულ ნაწილში. ნაციონალიზმი, შოვინიზმი, ეროვნული კარჩაკეტილობა — აი ის მოვლენები, რომელსაც შეხვდებით სკოლაში.

ამავე დროს, სკოლებში ინტერნაციონალურ-კლასობრივი აღზრდის სუსტად დაყენების გამო, მოწაფეთა მიერ გამოცემული ჟურნალები ნაციონალისტურ, პესიმისტურ და სექსუალური ლექსებით და მოთხრობებით არის ხოლმე დატვირთული. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ **ა. ენუქიძის სახ. ტექნიკუმის** მოწაფეთა მიერ გამოშვებული ჟურნალი. სკოლებში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოწაფეები ითვალისწინებენ სხვადასხვა ეროვნებათა ახალგაზრდებს და მათ ცუდი სიტყვებით მიმართავენ: „ქურთო“, „აისტან“, „ოსო“ და სხვ.

სასკოლო უჯრედებიც ამ მიმართულებით სუსტად მუშაობენ. საქართველოს ა.კ.კ. მესამე კონფერენციამ თავის რეზოლიუციებში აღნიშნა, რომ „ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა ნაციონალიზმის კონკრეტიულ გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ამიტომ კონფერენცია საქართველოს ყველა ორგანიზაციების წინაშე აყენებს ამოცანას ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერების შესახებ და აღიარებს მას საკავშირო მუშაობის ერთ ძირითად დარგად“.

რემედასის კვირეულთან დაკავშირებით, ეს ამოცანა უნდა განვახორციელოთ სკოლებშიაც, რისთვისაც უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა ნება-ყოფლობითი ორგანიზაციებში.

ქეთო ნუკრაძე

რემედასის კვირეული და კომკავშირი

ახლო მომავალში საქართველოში ჩატარდება რემედასის კვირეული, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაპიტალის ტყვეებზე მატერიალურ დახმარების აღმოჩენის და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერნაციონალურ აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში.

კომკავშირის ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კვირეულის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში.

უპირველესად ყოვლისა ჩვენმა ორგანიზაციებმა მიზნად უნდა დაისახონ და პრაქტიკულად გადაჭრან საქარ. კომკავ. მესამე კონფერენციის გადაწყვეტილებანი. რომელიც ამბობს, რომ „ახალგაზრდათა ინტერნაციონალური აღზრდის სისტემაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომკავშირის მუშაობას რემედასში, ამიტომ კონფერენცია წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა ორგანიზაციებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშაობის ამ დარგს და გააძლიერონ თავიანთი მონაწილეობა ამ მიმართულებით და ახალგაზრდობის ფართო მასებს ჩაბმით".

რემედასის კვირეულის განმავლობაში ათეული და ასეული ახალგაზრდები, კომკავშირელები უნდა ჩავაბა რემედასის ორგანიზაციაში, რისთვისაც აუცილებელია ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება, რათა მასები უფრო კარგად გაერკვენ რემედასის და მისი კვირეულის ამოცანებში.

რემედასის კვირეული უნდა გახდეს გამოსავალ წერტილად, რომ მომავალში უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღოთ რემედასის უჯრედთა მუშაობაში.

ვ. ხარაძე.

მ უ შ ა ო ბ ა გ ა ნ ვ ა ა ხ ლ ე თ

(ქ. სოხუმი, აფხაზეთი)

ქ. სოხუმის ქართულ პედაგოგიურ ტექნიკუმსა და ათწლედთან არსებული რემედასის მუშაობა ზაფხულის განმავლობაში საგრძნობლად მოისუსტებდა, ვინაიდან არდადეგების დროს მოწაფეობა გაიფანტა პროვინციაში.



ჩვენი ჟურნალის მეგობარი, ამხ. გ ი ო რ გ ი ბ ო კ უ ჩ ა ვ ა, რომელმაც საქართველოს მარგანეცის მუშა-მოსამსახურეთა შორის ქ. ფოთში 1930 წლისათვის შეაგროვა 384 წლიური ხელისმომწერი.

უნდა ითქვას, რომ უჯრედი თითქმის სამი თვის განმავლობაში არაფერს არ აკეთებდა. სამოსწავლო წლის დაწყებისთანავე ამ ორივე სკოლის უჯრედი ისევ გაერთიანებული ენერგიით შეუდგა მუშაობას; დღეს-დღეობით მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. ახლად არჩეულმა ბიურომ შეიმუშავა სამთვიანი სამოქმედო გეგმა.

ახალი ბიურო ხშირ-ხშირად იწვევს სხდომებს, სადაც ირჩევა, როგორც რემედასის საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ხასიათის საკითხები. წარსულ წელთან შედარებით უჯრედის წევრთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. გარდა ამისა მიღებულია სათანადო ზომები პიონერების სრული 100% ჩასაბმელად რემედასის რიგებში.

უჯრედის მაშტაბით ვრცელდება ჟურნალ „რემედას"-ის 35 ცალი. ბიუროს მიერ გამოყოფილია ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული — ამხ. გ ი ო რ გ ი ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, რომელსაც მინდობილი აქვს ჟურნალ „რემედას"-ზე ხელის მომწერთა შეგროვება.

ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს მუშაობა 1929 წლ. განმავლობაში დარჩენილი საწევრო ანარიცხებისა და საერთოდ ყოველგვარი დავალიანებათა სალიკვიდაციოთ.

უჯრედმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გალის ათწლედთან არსებული რემედასის უჯრედი. შეჯიბრების ვადა განსაზღვრულია, — 1929 წ. დეკემბრის პირველიდან 1930 წ. პირველ მარტამდე.

უჯრედს განსაზღვრული აქვს მოაწყოს საღამო-წარმოდგენები. უჯრედს აქვს ყოველთვიური კედლის გაზეთი ავიოქიმიის ორგანიზაციასთან ერთად *).

ამრიგად ჩვენ ვიმედოვნებთ რემედასის მუშაობას დავაყენებთ მკვიდრ ნიადაგზე.

გრიშა რუსია

---

*) სასურველია რემედასის კედლის გაზეთის ცალკე დაარსება.
რედ.

გავაძლიეროთ ინტერნაციონალური მუშაობა

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალურ აღმზრდელობითი მუშაობას, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კომკავშირის უჯრედების მიერ მას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

მაგალითად, ისეთი დიდი საწარმოო უჯრედები, როგორიცაა მთავარ სახელოსნოები, არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღმზრდელობით დარგში.

ინტერნაციონალური მუშაობა უჯრედების უმრავლესობას აგონდებათ ამა თუ იმ კამპანიის ჩატარების დროს. მაგალითად, ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყება ხოლმე ახალგაზრდების საერთაშორისოა დღის ჩატარების დროს და დღესასწაულის ჩატარებისთანავე ნელდება ყოველივე. ასევე გაცხოველებით ჩატარდა ახკომინტერნის არსებობის 10 წლის თავი. მაგრამ დღეს არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ადგილობრივი კედლის გაზეთებიც ინტერნაციონალურ მუშაობის საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ინტერნაციონალური აღზრდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ჩვენი მშენებლობის მიმდინარე პერიოდში და მას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

რემედასის კვირეული უნდა გამოვიყენოთ რემედასის რიგებში კომკავშირელთა ფართო მასების ჩაბმისათვის და ინტერნაციონალურ მუშაობის გასაძლიერებლად.

გოგი.

რ ე მ ე დ ა ს ი ს კ ო ლ ე ბ შ ი

(ქუთაისი)

ქ. ქუთაისის მეორე ათწლედთან არსებობს რემედასის უჯრედი. უნდა ითქვას, რომ უჯრედის მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს და აერთიანებს 30 წევრს.

რემედასის უჯრედში ჩაბმულია კომკავშირელთა დიდი უმრავლესობა. უჯრედი ხშირად იწვევს კრებებს, სადაც ირჩევა სხვადასხვა საკითხები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ყოველდღიურ მუშაობასთან.

ჩვენმა უჯრედმა სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვია რკინის გზის სკოლასთან არსებული რემედასის უჯრედი.

შეჯიბრის პირობებში მხარეები შეთანხმდენ და დროც განსაზღვრულია. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ამ პირობების ცხოვრებაში გასატარებლად.

„კოწო".

გ ა მ ო წ ვ ე ვ ა

ჟერნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ს ვიწერ ე ქ ვ ს ი თ ვ ი ს ვადით და ამავე მიზნით ვიწვევ ქ. სოხუმის ქართულ პედ.-ტეხნიკუმებისა და ათწლედის მოწაფეებსა და მასწავლებლებს:

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი დ ა ნ:

1. ვასილ ადამიას, 2. საშა ბენდელიანს, 3. მიშა ნადირაშვილს, 4. სევერიანე ედიბერიძეს, 5. იასონ ურიდიას, 6. ბესარიონ ჯანაშიას, 7. ჭელიძეს, 8. ბერულავას, 9. ნიკო კეკუას, 10. ბასილაიას და 11. გრიშა ჯაფარიძეს

მ ო წ ა ფ ე ე ბ ი დ ა ნ.

1. პროკოფი პერტაიას, 2. ამფილოგი ხუხუნაშვილს. 3. ნინო ძაძამიას, 4. ნინა ჭანტურიას, 5. გრიგოლ კობახიძეს, 6. ლევან სართანიას, 7. ბაგრატ ნარმანიას, 8. ოთარ დიხამინჯიას, 9. იოსებ გაბილაიას, 10. თამარ ზარანდიას 11. მალაქია ჭარაიას, 12. ლიდა კვატატიანს, 13. გიორგი ნოდიას, 14. ოლღა ვარდანიას, 15. ნოე ვეკუას, 16. ნინა ქარჩავას, 17. თამარ გეგეჭკორს, 18. ლიდა სიმონაიშვილს, 19. ოლია რამიშვილს, 20. ანტიფო სიმონიას, 21 გრიგოლ ღვანის,22. ლიდია გოგავას და 23. ოლია მიქაძეს.

ქ. ს ო ხ უ მ ი ს პ ე დ.-ტ ე ხ ნ ი კ უ მ ი ს მ ო წ ა ფ ე:

გრიშა რუსია

დავეხმაროთ კაპიტალის პატიმრებს

კაპიტალის პატიმართა სასარგებლოთ ქუთაისის რემედასის ორგანიზაციაში შემომაქვს 2 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ უჯრედებსა და ამხანაგებს:

1. რკინის გზის ათწლედის უჯრედს, 2. მეოთხე და მეხუთე ათწლედებთან არსებულ რემედასის მდივნებს და ბიუროს ყველა წევრებს.

ბენია ტოგონიძე

გამომცემელი რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი. რედაქტორი: შამშე ლეჟავა.

ტფილისი, ს. ს. მ. უ.ს. პოლიგრ.-ტრ. 1-ლი სტამბა, პლეხ. გამზირი № 91, მთავარლიტი № 4 შეკვეთა № 510. ტირაჟი 4000.

ფასი 20 კაპ.

გამოიწერეთ და იკითხეთ

რემედასის საქართველოს ცეკას და ტფილისის საოლქო კომიტეტის
ყოველთვიური მასიური ორგანო ჟურნალ

1930 **რემედა** 1930

გამოცემის წელი მეშვიდე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის თარეშს, როგორც დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ისე აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში; პატიმარ რევოლიუციონერების მდგომარეობას კაპიტალის საჯეროობილეებში; რემედასის, როგორც **საბჭოთა პავშირისა და საქართველოს ორგანიზაციების, ისე უცხოეთის სექციების მოღვაწეობას.**

ფართე ადგილი ეთმობა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას და მხატვრობას. ჟურნალში მოთავსებული იქნება მდიდარი ილიუსტრაცია, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის და რევოლიუციონური გლეხობის კლასობრივი ბრძოლების ეპიზოდებიდან, ისე ყველა ქვეყნის რემედასის სექციების მუშაობიდან.

ხელის მოწერის პირობები

ერთი თვით	20 კაპ.	ექვსი თვით	1 მ. 15 კაპ.
სამი თვით	60 „	ცხრა თვით	1 „ 70 „
		ერთი წლით	2 „ 20 „

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველ რიცხვიდან

ყოველი აქტიური რემედასელი, უჯრედი, ქოხ-სამკითხველო, მუშა-მოსამსახურე, მშრომელი გლეხი და დიასახლისი უნდა გახდეს ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერი.

ჟურნალ „რემედას“-ზე ხელისმოწერით ჩვენ ვაღვივებთ მშრომელ მასაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნებას.

რემედასის უჯრედებო და გეჯდვითი სიტყვის ორგანიზატორებო იზრუნეთ თქვენი ჟურნალის გავრცელებაზე

ჟურნალზე ხელის მოწერა იწარმოებს, როგორც რემედასის საქართველოს ყველა საოლქო, სამაზრო, სარაიონო კომიტეტებში და უჯრედებში, ისე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

1930 წ. იანვრის პირველიდან ჟურნალ „რემედას“ გადაეგზავნება მხოლოდ ხელის მოწერლებს.

რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობა.